

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ძალიან ძლიერი იქნება“



საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატად ვინც არ უნდა დაასახელოს, „ძალიან ძლიერი და კონკურენტუნარიანი იქნება“.

„პირველი არხთან“ საუბრისას წულუკიანმა აღნიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის ვარია, ყველა კანდიდატს კონკურენტუნარიანი პირობები შეუქმნას.

„ვფიქრობ, „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, წევრები, „ქართული ოცნების“ მომხრეები. რომელიც არ უნდა დასახელებს საპრეზიდენტო კანდიდატად, ძალიან ძლიერი და კონკურენტუნარიანი იქნება. ჩემი, როგორც უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის ვარია, ყველა კანდიდატს შევუქმნა კონკურენტუნარიანი პირობები იმისთვის, რომ საჯარო მოხედრებმა არ გამოიყენონ ადმინისტრაციული რესურსი. ეს პროცესი უკვე ჩართულია. როდესაც გიორგი მარგველაშვილი გადაწყვეტს, დააყენოს თავისი კანდიდატურა საარჩევნო გარემო პრაქტიკაშიც ისეთი იქნება, რომ მას, „ქართული ოცნების“ და სხვა პარტიების კანდიდატებს ექნებათ თანასწორი პირობები და იქ გამორჩევა, ვინ ვისზე ძლიერია. ამაზე პირველი ივრისიდან დავიწყეთ მუშაობა“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.